პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

№ 16 (1186) | ხუთშაბათი, 6 თებერვალი, 1958 წ. | გამოცემის მე-14 წელი | ფასი 80 კაპ.

## საბჭოთა ხალხის მონოლითობის დემონსტრაცია

სულ უფრო მეტი ძალით ჩაღდება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადება. მთელი საბჭოთა ხალხი ერთსულოვნად ემზადება ამ ჭეშმარიტად სახალხო ზეიმისათვის, მზად არის ხმა მისცეს საუკეთესოთა შორის საუკეთესო ადამიანებს.

1 თებერვალს მთელი ჩვენი თვალუწვდენი სოციალისტური სამშობლოს ქალაქებსა და სოფლებში დაიწყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება. საწარმოთა, დაწესებულებათა, კოლმეურნეობების, სამხედრო ნაწილების წინასაარჩევნო კრებებზე, რომელიც გადაიქცა დიადი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ირგვლივ ჩვენი ხალხის მტკიცე დარაზმულობის მძლავრ დემონსტრაციად, დეპუტატობის კანდიდატებად ასახელებენ კომუნიზმის აქტიურ მშენებლებს, დიადი კომუნისტური პარტიის ერთგულ შვილებს. პირველსავე საარჩევნო კრებებზე ჩვენი ქვეყნის ადამიანებმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დაასახელეს მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გამოჩენილი მოღვაწეები კ. ე. ვოროშილოვი, ა. ი. მიქოიანი, ა. ი. კირიჩენკო, ნ. ა. მუხიტდინოვი, მ. ა. სუსლოვი, ნ. მ. შვერნიკი და ნ. ს. ხრუშჩოვი. მუშები, კოლმეურნეები, კულტურის მოღვაწეები წინასაარჩევნო კრებების ტრიბუნებიდან სიამაყით ლაპარაკობდნენ თუ რა უდიდეს წარმატებებს მიაღწია საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიისა და მშობლიური მთავრობის ხელმძღვანელობით, აცხადებენ, რომ მზად არიან მთელი ძალღონე მოახმარონ ჩვენი სამშობლოს შემდგომი ეკონომიური და კულტურული აღმავლობის დიად საქმეს.

არჩევნებისათვის მზადების დღეებში კიდევ უფრო გაძლიერდა საქართველოს მშრომელთა პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა, ფართოდ გაიშალა არჩევნებისადმი მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრება, რესპუბლიკის ათობით საწარმომ ვალდებულება იკისრა პირველი კვარტალის საწარმოო დავალება შეასრულოს დიდი ზეიმის დღისათვის — 16 მარტისათვის. ასეთივე გადიდებული ვალდებულებანი აიღეს სოციალისტური სოფლის მუშაკებმა. ახლა ყველგან თავდადებული შემოქმედებითი მუშაობაა გაჩაღებული. რესპუბლიკის საწარმოთა, სოციალისტური მინდვრების ადამიანები თავდადებულად იბრძვიან საქართველოს კომუნისტური პარტიის XVIII ყრილობის გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გატარებისათვის.

ჩვენს რესპუბლიკაში მოწყობილ წინასაარჩევნო კრებებზე დეპუტატობის კანდიდატებად ასახელებენ კომუნიზმის დიადი საქმისათვის მებრძოლ ადამიანებს. თბილისის მშრომელებმა დიდი პოლიტიკური აქტივობის ვითარებაში, არაჩვეულებრივი ერთსულოვნებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დაასახელეს კ. ე. ვოროშილოვი, ა. ი. კირიჩენკო, ნ. გ. იგნატოვი, ე. ა. ფურცევა, ნ. ს. ხრუშჩოვი, ვ. პ. მჟავანაძე, ი. ბ. სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის ნოვატორი ხარატი ა. ნ. მარგველაშვილი, თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მოწინავე მქსოველი ც. ნ. ქურციკიძე.

საარჩევნო კამპანიაში მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად აქტიურად მონაწილეობენ ფიზკულტურელები, სპორტსმენები — ჩვენი ქვეყნის მგზნებარე პატრიოტები. ჩვენი ვალია მთელი ძალით გავშალოთ ქმედითი აგიტაცია დეპუტატობის კანდიდატთა სასარგებლოდ, ფართოდ გავაჩაღოთ მუშაობა მოსახლეობაში, ყოველდღიური დახმარება გავუწიოთ საარჩევნო კომისიებს, აქტიური მონაწილეობა მივიღოთ აგიტპუნქტებისა და აგიტკოლექტივების საქმიანობაში. რესპუბლიკის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა, სპორტსაზოგადოებებმა ახლავე უნდა ჩამოაყალიბონ ფიზკულტურული ბრიგადები, რომლებიც მოემსახურებიან საარჩევნო უბნებს. ამ საქმეში უნდა ჩავაბათ თანრიგოსნები, ოსტატები, აქტივი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები დიდი სახალხო დღესასწაულია, იგი ჩვენი ხალხის საბჭოთა სამშობლოსადმი უანგარო სიყვარულის დემონსტრაციაა. არჩევნებისათვის მზადება და არჩევნების ჩატარება ხელს შეუწყობს კომუნისტური პარტიის, მთავრობისა და საბჭოთა ხალხის ურღვევი კავშირის განმტკიცების, ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს კიდევ უფრო ძლიერების საქმეს.

## მწვერვალთა დამპყრობთ— ოქროს მედლები

მსაჯთა საკავშირო კოლეგიის გადაწყვეტილებით შეჯამდა ალპინისტთა გასული წლის სეზონში ჩატარებული ტრავერსების შედეგები. კოლეგიამ პირველი ადგილი მიაკუთვნა დარვაზის ქედის (პამირი) ტრავერსს, რომელიც საქართველოს ალპინისტთა ჯგუფმა განახორციელა სპორტის ოსტატ ჯ. მეძმარიაშვილის ხელმძღვანელობით. ტრავერსის მონაწილეებს ჯ. მეძმარიაშვილს, ლ. ახვლედიანს, ბ. ხერგიანს, ჰ. ჩართოლანს, ზ. ახვლედიანსა და რ. ხაზარაძეს გადაეცათ ოქროს მედლები და ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტის პირველი ხარისხის დიპლომები. ექსპედიციის ხელმძღვანელები და მწვრთნელები ო. გიგინეიშვილი და ა. ივანიშვილი დაჯილდოვდნენ პირველი ხარისხის დიპლომებით, ხოლო მაშველი ჯგუფის წევრები, რომელსაც ხელმძღვანელობდა სპორტის ოსტატი დ. ობოლაძე — სიგელებით.

საქართველოს ალპური კლუბი, რომელმაც განახორციელა ეს შესანიშნავი ღონისძიება, დაჯილდოვდა ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტის პირველი ხარისხის დიპლომითა და ე. აბალაკოვის სახელობის გარდამავალი პრიზით.



ულან-უდეს (ბურიატ-მონღოლეთი) პედაგოგიურ ინსტიტუტში ჩამოყალიბდა მშვილდოსანთა სექცია.

**სურათზე:** მწვრთნელი დ. ედონეევი (შუაში) ასწავლის სტუდენტებს სროლას.

ფოტო ვ. ბუტიკოვისა.

## დღეს ნომერში:

ვარსკვლავური სენი—მე-2 გვ.

ოსტაპ ბენდერი წყალტუბოს რაიონში —მე-3 გვ.

ტურნირი დაძაბულად მიმდინარეობდა —მე-4 გვ. ● „შავი ჯიქი"—მე-4 გვ.

## თოვლიან ბილიკებზე

### კ. ნაქაძის რეკორდი

ლენინგრადის მიდამოებში კოვგოლოვოს ტრამპლინზე დამთავრდა ჩვენი ქვეყნის უძლიერეს მხტომელთა საკავშირო პირველობა. ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა 20 წლის არმიელმა რ. ბიკოვმა, რომელმაც ორი ცდის ჯამში მოაგროვა 221,5 ქულა. იგი პირველ ცდაზე გადახტა 71 მეტრზე, ხოლო მეორე ცდით 1,5 მეტრით უარესი შედეგი აჩვენა. მეორე ადგილი მოიპოვა ნ. შამოვმა — 212,5 ქულა. ბაკურიანელი კობა წაქაძე გამოვიდა მესამე ადგილზე — 204 ქულა. აღსანიშნავია, რომ ამ შეჯიბრებაში ქართველმა სპორტსმენმა დაამყარა ლენინგრადის დიდი ტრამპლინის რეკორდი, როცა მეორე ცდაზე გადახტა 74,5 მეტრზე. ამ ნახტომმა საუკეთესო შეფასებაც მიიღო ამ შეჯიბრებაზე — 115,5 ქულა.

• • •

აქვე დამთავრდა საბჭოთა კავშირის 1958 წლის პირველობა სამთო ორჭიდში (რბენა 15 კილომეტრზე და ტრამპლინიდან ხტომა). შეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვიდა სპორტის ოსტატი გუსაკოვი, რომელმაც მოიპოვა ჩვენი ქვეყნის ჩემპიონობა.

## ოტეპეას მიდამოებში

ესტონეთის სამხრეთ რაიონში ოტეპეას მიდამოებში გაიმართა ჩვენი ქვეყნის უძლიერეს მორბენალთა საკავშირო ჩემპიონატი სათხილამურო სპორტში. სტარტზე გამოვიდა 170 სპორტსმენი. 30 კილომეტრზე რბენაში პირველი ადგილი დაიკავა კოსტრომელმა ა. შელიუხინმა, რომელმაც დისტანცია დაამთავრა 1 საათსა და 53 წუთში. 15 კილომეტრზე უძლიერესი იყო ვ. კუზინი.

ქალთა 5-კილომეტრიან დისტანციაზე ფინიშთან პირველი მივიდა მოსკოვის „დინამოს" წარმომადგენელი ა. კოლჩინა — 19 წუთი და 29 წამი.

## მსოფლიო რეკორდებზე მაღლა

ამ დღეებში ლვოვში გაიმართა კიევისა და ადგილობრივ ძალოსანთა სამატჩო შეხვედრა. ქვემძიმე წონის ძალოსანმა კიეველმა პ. მატიუხამ აჰიმა 149 კილოგრამი, რაც 1 კილოგრამით აღემატება მისსავე მსოფლიო რეკორდს.

* * *

ლენინგრადში ზამთრის დახურულ სტადიონზე გაიმართა „ბურევესტნიკის" მძლეოსანთა შეჯიბრება. ჩელიაბინსკელმა სტუდენტმა გოგონამ ტ. ჩენჩიკმა სიმაღლეზე ხტომაში აჩვენა 1 მ 75 სმ, რაც ახალი მსოფლიო რეკორდია დახურული შენობისათვის.

## ა. ზაილერი მეორე ადგილზე

მსოფლიოს უძლიერეს სამთო მოთხილამურეთა შეჯიბრებაში დამთავრდა სლალომისტთა ასპარეზობა. აქ გამარჯვებული გამოვიდა ავსტრიელი ი. რიდერი. რომელმაც დისტანცია დაამთავრა 1 წუთსა და 55,1 წამში. ოლიმპიური ჩემპიონი ავსტრიელი ა. ზაილერი გამარჯვებულს ჩამორჩა 0,7 წამით. სუსტად გამოვიდნენ საბჭოთა სპორტსმენები. მათ შორის საუკეთესო ა. ფილატოვი 23-ე ადგილით დაკმაყოფილდა.



## მოისართა შეჯიბრება

ქვემო ალვანის საშუალო სკოლის მოედანზე უჩვეულო გამოცოცხლება სუფევდა. აქ თავი მოეყარათ სკოლის პედაგოგებსა და მოსწავლეებს, კოლმეურნეებს. მოუთმენლად ელოდნენ საინტერესო სანახაობის დასაწყისს — შიდასასკოლო პირად-გუნდურ პირველობას მშვილდოსნობაში.

მაყურებელთა ინტერესი ძირითადად იმან განაპირობა, რომ სპორტის ეს უძველესი სახეობა დიდი სიყვარულით სარგებლობს ალვანელთა შორის. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ IX-XI კლასების გუნდები, რომლებიც დაკომპლექტებული იყვნენ სამ-სამი საუკეთესო მოისარით. პროგრამაში იყო სროლა 30, 40 და 50 მეტრიდან. ყველა მონაწილეს თვითეულ დისტანციაზე ეძლეოდა ხუთი ისარი, ჩათვლაში კი შედიოდა სამი საუკეთესო შედეგი.

სკოლის პირველი ჩემპიონის წოდება მოიპოვა მე-10 კლასის გუნდმა, რომელმაც გაასწრო მე-11 კლასელებს, X² კლასის გუნდი მესამე ადგილზე გამოვიდა. პირად პირველობაში გაიმარჯვეს მე-10 კლასელებმა ვ. ბილოიძემ, ვ. გიგოიძემ და მე-9 კლასელმა გ. ბექურიძემ.

აღსანიშნავია, რომ ამ ღონისძიებას თან ახლდა მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები. კერძოდ, მცირე მოცულობის სამიზნეები არ შეეფერებოდა დისტანციებს, რამაც განაპირობა დაბალი მაჩვენებლები. განზრახული გვაქვს უახლოეს ხანში მეზობელი სკოლის კოლექტივთან ჩავატაროთ ამხანაგური შეხვედრა, რაც ხელს შეუწყობს სპორტის ამ სახეობის შემდგომ განვითარებას.

ნ. ჯიჯურიძე.

**სურათზე:** შეჯიბრების ორგანიზატორები ათვალიერებენ ვ. ბილოიძის სროლის შედეგს.

ფელეტონი

# ვარსკვლაური სენი

ს. ნარინიანი

მეგობრები, სპორტსმენები ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდს აცილებდნენ დიდ პასუხსაგებ მატჩზე. მატარებლის გასვლამდე რამდენიმე წუთი იყო დარჩენილი. გამცილებლებმა უკვე დაამთავრეს მიმავალთა ხვევნა-კოცნა, დაზვინეს ისინი რჩევა-დარიგებით: რომელი მხრიდან შემოევლოთ მოწინააღმდეგისათვის, რომელი ფეხით დაერტყათ ბურთი. ყველაფერი თითქოს ადგილზე იყო: მზე, ყვავილები, კოცნა... მაგრამ მიმავალთა გული შეშფოთებული იყო, ისინი მეგობრებს ეჰკეოდნენ ნახევარი ძალით, რჩევა-დარიგებას იამენდნენ ცალი ყურით. „დიახ, დიახ" — ამბობდნენ ფეხბურთელები, თვითონ კი თვალს არ აშორებდნენ პერონის იმ მხარეს, სადაც რკინიგზის სადგურის სადარბაზო შესასვლელი იყო.

— როგორაა საქმე, მორბის თუ არ მორბის?

მატარებელი დაიძრა, თავდასხმის ცენტრი კვლავ არ იყო და არა.

— სად არის ედიკი? შეიძლება რამე შეემთხვა? შეიძლება ავად გახდა?

— ეს შეუძლებელია, ერთი საათის წინ ტელეფონით ვესაუბრე, — ამბობს მწვრთნელი.

— იქნებ ავტობუსი დაეტაკა?

მატარებელმა სვლას უმატა მან უკვე დიდი ხანია უკან მოიტოვა სადგური და მაგისტრალზე გავიდა, ფეხბურთელებს კი ნაცვლად მხიარული, ამაღლებული განწყობილებისა, შეშფოთება დაეუფლა, თვითეულს აღელვებს მიმავალი შეხვედრის შედეგი: „როგორ ვითამაშებთ თავდასხმის ცენტრის გარეშე?" თვითეულს მოსვენებას არ აძლევდა ამხანაგის ბედი: „თუ ედიკი ქუჩის კატასტროფაში მოყვა, მშვიდობით გადარჩა, თუ დაჭრილია?"

ღელავდნენ არა მარტო გამგზავრებულნი, ღელავდნენ აგრეთვე გამცილებლებიც. ფიზიკური კულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს უფროსი ვალენტინ პანფილის-ძე ანტიპენოკი, მიუხედავად ხანდაზმულობისა და დაავადებული გულისა, ტელეფონ-ავტომატისაკენ გაიქცა სასწრაფო დახმარებაში დასარეკად. და ერთბაშად სადგურის კარებში მოულოდნელი შეხვედრა. როგორ გგონიათ, ვის შეხვდა იგი? თავდასხმის ცენტრს და მასთან ერთად მარჯვენა შუამარბს. ორივე სალსალამათადაა, და ორივე მთვრალია. თურმე მეგობრები გამგზავრების წინ რესტორანში შესულან ეგრეთწოდებულ სატალახოს დასალევად.

— პატიოსან სიტყვას გეუბნებით, ვალენტინ პანფილის-ძევ, ჩვენ გვინდოდა მხოლოდ თითო დაგველია, იმათ კი მეორეც მოგვართვეს.

ეჰ, რა სიამოვნებით მისტყეპავდა ახლა ორივე მეგობარს ვალენტინ პანფილის-ძე, აი, ისე, როგორც ეს მამებმა იციან ხოლმე. მაგრამ ვალენტინ პანფილის-ძე არც ედუარდ სტრელცოვის მამაა და არც ვალენტინ ივანოვის მამა, ანტიპენოკი ფეხბურთის განყოფილების უფროსია. და იმის ნაცვლად, რომ ხელში ლვედი აეღო, ნაქეიფარი ვაჟბატონები მანქანაში ჩასვა და გზატკეცილზე გააქროლა მატარებლის დასაწევად. საათნახევრიანი შმაგი რბოლის შემდეგ, ბოლოს, მოჟაისკთან ავტომანქანამ გაუსწრო მატარებელს. მაგრამ აქ ახალმა უბედურებამ იჩინა თავი: ჩქარი მატარებელი მოჟაისკში არ ჩერდება. ვალენტინ პანფილის-ძემ მორიგეს მიაშურა:

— ძვირფასო, გთხოვთ შემისრულოთ, როგორც გამონაკლისი შემთხვევა.

„ძვირფასს" კი გაკვირვებისაგან წარბები ზევით გაექცა, მელოტი თავისაკენ.

— რას ამბობთ? ჩქარი მატარებელი გავაჩერო? ეს ხომ გზ — განსაკუთრებული შემთხვევაა.

ანტიპენოკმა დაურეკა გზის დისპეტჩერს.

— დაამუხრუჭეთ, ღვთის გულისათვის, თუნდაც ერთი წამით. ოღონდ ვაგონში თავდასხმის ცენტრის შეგდება მოვასწრო.

მაგრამ დისპეტჩერმა მხედველობაში არ მიიღო არც თავდასხმის ცენტრი, არც ფეხბურთის სამმართველოს უფროსის მუდარა. როგორ მოიქცეს? მატარებელი ახლოვდება და ეს-ეს არის სადგურსაც გაივლის. მაშინ განყოფილების უფროსმა დარეკა გზათა სამინისტროში. დაელაპარაკა მინისტრის ერთ მოადგილეს, მეორეს:

— გვიშველეთ, ჩვენ უაღრესად პასუხსაგები მატჩი გვაქვს.

მინისტრის ერთმა მოადგილემ ყურადღებით ეს თხოვნა და მოჟაისკში გაგზავნა უჩვეულო ბრძანება: შეანელეთ მატარებლის სვლა სადგურის ბაქანთან. და აი, მემანქანე ხელს ჰკიდებს მუხრუჭის ბერკეტს, ორი მეგობარი კი თავის მხრივ ვაგონის რიკულებს ეჭიდება:

ბიჭებო, მოგვეშველეთ!

ბიჭები კუპედან გამოხტნენ და თავდასხმის ცენტრი და მარჯვენა შუამარბი ვაგონში აათრიეს, ფეხზე დააყენეს და დაელოდნენ — რას იტყვიანო. მათ სათქმელიც არაფერი აქვთ:

— დავლიეთ. დავიგვიანეთ.

მცველები და თავდამსხმელები ქაჯებივით გაავებული არიან. მაშ არა და: ამდენი გარჯა და ღელვა ერთი ჭიქა არაყისათვის!

— ჭკუა უნდა ვასწავლოთ კაცმა, არამზადებს — მაგრად მოგთელოთ, — თქვა მეკარემ.

მაგრამ მეგობრული ჭკუის სწავლება გადადვეს — წინ პასუხსაგები მატჩია და ნაცვლად გულახდილი, ვაჟკაცური ლაპარაკისა, ისინი იძულებული გახდნენ ხელმოკიდებული წაეყვანათ მთვრალი მეგობრები რბილი საწოლებისაკენ.

— იძინეთ, გამოფხიზლდით, გაიწმინდეთ ტვინი და ფილტვები ალკოჰოლისაგან. ლაპარაკი თამაშის შემდეგ გვექნება.

ამჯერად მატჩი დამთავრდა მნიშვნელოვანი გამარჯვებით. გამარჯვების შემდეგ კი, ცხადია, ლაპარაკიც სხვაგვარია. გაბრაზება განელდა, აურზაური დავიწყებულია. თავდასხმის ცენტრი საკავშირო კომიტეტში გამოიძახეს დასატუქსავად. შეახურეს. „ცენტრი" ინანიებს ცოდვებს, პირობას იძლევა, რომ გამოსწორდება. მას ბანს აძლევს მარჯვენა შუამარბი. მათ დაუჯერეს, აპატიეს. ერთი თვის შემდეგ კი ადგილი აქვს ახალ გზ — განსაკუთრებულ შემთხვევას...

ედუარდ სტრელცოვი მხოლოდ ოცი წლისაა. იგი კი უკვე „გამოუსწორებელთა" რიცხვშია. ეს რა, ედიკს აკვნიდან დაჰყვა სიავე? არა, აკვნიდან არა. სულ რაღაც სამიოდე წლის წინათ ედუარდ სტრელცოვი ალალი, პატიოსანი ჭაბუკი იყო. იგი პაპიროსს არ სწევდა, არ სვამდა. წითლდებოდა კიდეც, როცა მწვრთნელი შენიშვნას აძლევდა. და ერთბაშად ყველაფერი შეიცვალა. ედიკი თამბაქოს სწევს, არაყს სვამს, აყალ-მაყალს სტეხს. საყვარელ ბიჭუნას თავს გაუვიდა. უკვე „ტორპედოს" მწვრთნელი კი არ აძლევს მას შენიშვნებს, არამედ იგი უჯავრდება მწვრთნელს. ვინ არის ამაში დამნაშავე? პირველ რიგში თვითონ მწვრთნელი. მწვრთნელი გუნდის მარტო ტექნიკური ხელმძღვანელი როდია — იგი აღმზრდელია. მაგრამ რა აღმზრდელი შეიძლება იყოს მასლოვი, თუ მას ეშინია სტრელცოვისათვის შენიშვნის მიცემა.

— ღმერთმა დაგვიფაროს, ეს შეუძლებელია. სტრელცოვი და ივანოვი ჩვენი ვარსკვლავებია.

საინტერესოა, რომელმა ჭკუისკოლოფმა დანერგა ეს ჰოლივუდის ტერმინოლოგია ჩვენს სპორტულ ლექსიკონში!

ჰოდა, რახან სტრელცოვი ვარსკვლავია, მას ცივ ნიავს არ აკარებენ. და ამას აკეთებს არა მარტო მწვრთნელი მასლოვი, არამედ მიწეცენატო პირებიც ლიხაჩოვის სახელობის საავტომობილო ქარხნიდან. გუნდი ბრუნდება მორიგი მოგზაურობიდან. ყველა მოთამაშე სადგურიდან ავტობუსით მიდის, სტრელცოვსა და ივანოვს კი „ზილ"-ები მიართვეს. რა არის ეს, თუ არა ზნის გარყვნა?

მაგრამ ბიჭუნებს რყვნიან არა მარტო მაღალპასუხისმგებელი მეცენატები. სამი თვის წინათ სტრელცოვი საავადმყოფოში დაწვა. მის სანახავად დედა მივიდა. დედამ ვაჟს ხილი და წიგნები კი არ მიუტანა, არამედ ერთი ბოთლი არაყი.

ექიმებმა დედას ბოთლი წაართვეს:

— ნუ რყვნით ჭაბუკს. შეიყვარებს ედიკი არაყს — თვითონვე სატირლად გაგიხდებათ საქმე.

დედამ კი, ნაცვლად იმისა, რომ ყურადღება ექიმების სიტყვები, ჩაუჩურჩულა ვაჟს:

— ფანჯრიდან ბანდი ჩამოუშვი, ქუჩიდან საჩუქარს გამოგიგზავნი.

და გაუგზავნა კიდეც: ერთი ბოთლის ნაცვლად—ორი. ედიკს კი არაყი რეტს ასხამს. აი, დალეულია მხოლოდ ერთი ჭიქა და ჩვენს წინაშე უკვე საყვარელი, კარგი ჭაბუკი კი არ არის, არამედ შარიანი და შფოთისთავი ადამიანი. ამჯერადაც იგემა ედიკმა დედის საჩუქარი და აურია. ექიმებს, ავადმყოფებს სურთ მისი დამოშმინება, იგი კი მუშტებით მიიწევს:

— ხელს ნუ მიშლით, შეზარხოშებული ვარ!

ახალგაზრდა ფეხბურთელს სულ უფრო და უფრო ძლიერ უბრუნდებოდა თავი. აი, სწორედ ამ დროს უნდა ჩარეულიყო ფეხბურთის სამმართველო თავდასხმის ცენტრის ცხოვრებაში, ესაუბრა დედასთან, სერიოზული გაფრთხილება მიეცა მწვრთნელისათვის, მაგრად დაერტყა ხელზე მეცენატებისათვის. საკავშირო კომიტეტმა კი ცეცხლს ნავთი დაასხა, აიღო დაახლოებით ერთი წლის წინათ ცხრამეტი წლის ჭაბუკს სპორტის დამსახურებული ოსტატობა მიანიჭა.

— ედუარდ სტრელცოვი ნიჭიერი ფეხბურთელია. უკანასკნელ თამაშებში მოწინააღმდეგის კარში თორმეტი ბურთი გაიტანა.

მართალია: ნიჭიერიც არის, ბურთებიც გაიტანა. მაგრამ რა საჭირო იყო, რომ საკავშირო კომიტეტმა იჩქარა მისთვის საპატიო წოდების მიცემა. ჩვენში სპორტის გარდა, სხვა დარგებშიც — მუსიკაში, მხატვრობაში, სიმღერაში, მეცნიერებაში არიან ნიჭიერი ადამიანები. მაგრამ არც შოსტაკოვიჩისათვის, არც ხაჩატურიანისათვის, არც ტუპოლევისათვის, არც ულანოვასათვის, არც რიხტერისათვის, არც დოლუხანოვასათვის არ მიუნიჭებიათ ცხრამეტი წლის ასაკში საპატიო წოდებანი. ფეხბურთელი უნდა დავაჯილდოვოთ არა ერთ ზაფხულში გატანილი თორმეტი ბურთისათვის, არამედ მყარი სპორტული მაჩვენებლებისათვის, არა იმისათვის, რომ იგი თვითონ კარგად თამაშობს, არამედ ამხანაგებისათვის გამოცდილების გადაცემისათვისაც. საპატიო წოდება მოპოვებულ უნდა იქნას სპორტში გმირული შრომით, თორემ იოლი ჯილდოები მალე ყირჰდება ადამიანს.

— მე ყველაფერს მივაღწიე, ყველაფერი გამოვცადე, ყველაფერი ვიგემე. 87 მანეთად და 50 კაპიკად ღირებული სალათიც კი ვჭამე.

და აი, ასეთი ყურადღებით მოყირჭებულ ახალგაზრდა ადამიანს თავს გაუდის. მას უკვე ფეხებზე ჰკიდია სპორტული საზოგადოების ღირსება, ამხანაგები. მას უკვე სპორტი კი არ უყვარს, არამედ თავისი თავი სპორტში. იგი შეჯიბრებაში გამოდის არა როგორც მშობლიური გუნდის წევრი, არამედ როგორც სახელგანთქმული გასტროლიორი ღარიბ პროვინციულ სცენაზე. ამხანაგები ცდილობენ, ოფლს ღვრიან, ბურთებს აწვდიან, იგი კი კოკობზიკობს. ერთხელ დაარტყამს, სამჯერ კი ფეხს აალდენს.

— ჩემთვის ეს დასაშვებია. მე ვარსკვლავი ვარ.

და ეს ვარსკვლავი ფეხბურთის მოედანზე და ცხოვრებაში ისე კი არ იქცევა, როგორც ამას მოითხოვს სოციალისტური თანაცხოვრების წესები, არამედ ისე, როგორც მოესურვება მის მარცხენა ფეხს. მარცხენა ფეხი კარგია, როცა იგი აუცდენლად ურტყამს კარში. ხოლო ყველა სხვა შემთხვევაში მარცხენა ფეხი კონტროლქვეშ უნდა ვიყოლიოთ.

„ვარსკვლაური სენის" გამხრწნელი გავლენის ქვეშ მარტო სტრელცოვი და ივანოვი როდი მოექცნენ. ჰკითხეთ სპარტაკელებს, რატომ ჩაატარეს მათ გასული სეზონი თავიანთი შესაძლებლობების დაბლა და ფეხბურთელები გულახდილად ვეტყვიან:

— დაცვის ხაზებში ხარვეზებს გარდა, ამაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ისაევმა და ტატუშინმა.

ამ ორმა ახალგაზრდა სპორტსმენმაც იგრძნო მოყირჭება. თურმე უკვე მათაც უგემნიათ 87 მანეთად და 50 კაპიკად ღირებული სალათი.

„სპარტაკის" გუნდი მთელი ძალღონით ცდილობს კარგად ჩაატაროს თამაში, მარჯვენა გარემარბი კი მარჯვენა შუამარბთან ერთად არად აგდებენ ამხანაგების ყველა ცდას. ურტყამენ სამი მეტრიდან — კარში ვერ ახვედრებენ. ანდა როგორ მოახვედრებენ კარში, თუ გუშინდელი ქეიფის შემდეგ მათ თვალებში ახლაც კი წრეები ტრიალებენ.

გასული სეზონის მიწურულში საკავშირო კომიტეტმა სერიოზული გაფრთხილება მისცა სტრელცოვს, ივანოვს, ტატუშინსა და ისაევს, ფეხბურთელებმა პირობა დადეს, რომ გამოსწორდებოდნენ. სამი მოთამაშე მიცემულ სიტყვას ამართლებს, მეოთხე კი კვლავ ჩავარდა. გასულ კვირას ვიღაც ახალმოვლენილ ვაჭრუკანებს ღრეობა მოუწყვიათ და საპატიო სტუმრად სტრელცოვი მიუწვევიათ. სტრელცოვი მასპინძლებიდან არავის იცნობდა, მის მიუხედავად, მან მაინც მიიღო მიწვევა, დალია, აყალმაყალი ატეხა და საღამო მილიციაში დაამთავრა.

ნაკრები გუნდის მოთამაშეებს მოთმინების ფიალა აევსოთ, და ისინი გუშინწინ შეიკრიბნენ, რათა გულახდილად ელაპარაკათ თავიანთ ცენტრალურ თავდამსხმელთან. ყველა სპორტსმენი აღშფოთებული იყო. ფეხბურთელებმა გამოიტანეს ერთსულოვანი გადაწყვეტილება — გამოიყვანონ სტრელცოვი ჩვენი ქვეყნის ნაკრები გუნდის შემადგენლობიდან და სთხოვონ საკავშირო კომიტეტს ჩამოართვან მას სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება. ნაკრები გუნდის მოთამაშეებს ჰქონდათ მეორე თხოვნაც, ასე ვთქვათ, არაოფიციალური, და ეს თხოვნა ეხებოდა არა საკავშირო კომიტეტს, არამედ გვეხებოდა ჩვენ, ფელეტონისტებს: პროფილაქტიკური მიზნით გაზეთში დაგვეწერა იმ ადამიანებზე, რომლებიც დასნებოვნებული არიან „ვარსკვლაური სენის" მიკრობით. და აი, ყურადვიღეთ რა ეს თხოვნა, ხელი მოვკიდეთ კალამს.

დღეს საღამოს ნაკრები გუნდი საზღვარგარეთ გაფრინდება. შემდეგ სეზონისათვის მოსამზადებლად გაემგზავრებიან აგრეთვე ოსტატთა საკლუბო გუნდები. ამ გუნდებში კი, ზოგან მარცხენა მხარეს, ზოგან მარჯვენა, არიან „ვარსკვლავა ბიჭუნები". დაე ნაცვლად ტრადიციული ასი გრამისა მათ გზად გაჰყვეს ეს ნაღვლიანი მოთხრობა ერთი ნიჭიერი სპორტსმენის დიდ სიმაღლეზე აფრენისა და ჩამოვარდნის შესახებ.

თქვენ შეგვეკითხებით: ეს რა — უკვე ყველაფერი გათავდა, ჩაესვენა თავდასხმის ცენტრის მზე?

ყველაფერი დამოკიდებულია თვით „ცენტრზე", ამხანაგებმა გამოსწორების საშუალება მისცეს. მათ უთხრეს სტრელცოვს:

— ყველაფერი თავიდან დაიწყე, მეგობარო ედიკ. ითამაშე საკლუბო გუნდში, წესრიგი დაამყარე შენს ყოფაცხოვრებაში, შენს ოჯახში. სიტყვით კი არა, საქმით დაამტკიცე, რომ სერიოზულად შეიგნე დანაშაული. და, შესაძლებელია, კვლავ დაგაყენოთ ნაკრების თავდასხმის ცენტრად. მაგრამ დავაყენებთ არა დღევანდელ სტრელცოვს — აყალმაყალის მოყვარულსა და ყოყოჩას, არამედ ისეთს, როგორიც წინათ იყო — შეურყვნელ, პატიოსან, თავაზიან ახალგაზრდას.

„კომსომოლსკაია პრავდა"

# მეგობართა შეხვედრა

დიდი ხანია, მეგობრობა აკავშირებს ლენინგრადისა და თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტების სპორტულ კოლექტივებს. სტუდენტთა არდადეგების დღეებში ჩვენს დედაქალაქს ეწვივნენ ლენინგრადელები, რომლებმაც თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის სპორტდარბაზში ადგილობრივ სპორტსმენებთან გამართეს ამხანაგური შეხვედრა კლასიკურ ჭიდაობაში. სამი წყვილის შეხვედრის შემდეგ წინ იყვნენ ლენინგრადელები. მსუბუქ წონაში ერთმანეთს შეხვდნენ სპორტის ოსტატები ა. ბეროზაშვილი და ი. ბორეიკინი. ქულებით გამარჯვება მოიპოვა თბილისელმა და ანგარიში გათანაბრდა.

ხანმოკლე გამოდგა ქვესაშუალო წონის სპორტსმენების, თბილისელი გ. ჩომახიძისა და ლენინგრადელი ი. კოტოვის შეხვედრა. ჩომახიძემ 30 წამში მოიპოვა სუფთა გამარჯვება, 2 წუთისა და 15 წამის შემდეგ კიდევ ერთი სუფთა გამარჯვება მოუტანა თავის გუნდს საშუალო წონის სპორტსმენმა რ. ფურცელაძემ, რომელმაც დაამარცხა ე. ანტონოვი. მომდევნო წონით კატეგორიებში აშკარა იყო მასპინძელთა უპირატესობა. თ. არჯავანიძემ და კ. მაისურაძემ შეხვედრები თავიანთ სასარგებლოდ დაამთავრეს. მატჩი დამთავრდა თბილისელ სპორტსმენთა სასარგებლოდ ანგარიშით 6:2.

შ. ქირია

# კრიტიკის ნიშნით

გაიმართა „კოლმეურნის" აბაშის მერვე რაიონული კონფერენცია. საბჭოს მუშაობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა რაისაბჭოს თავმჯდომარე ნ კაჭარავა. გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ო. მელიამ, რ. გუგუშვილმა, კ. ლოჩოშვილმა და სხვებმა.

როგორც მომხსენებელმა, ისე კამათში გამოსულმა ამხანაგებმა აღნიშნეს, რომ სოფლის ახალგაზრდებს შორის ერთგვარად გაუმჯობესდა მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობა ძლიერი ფიზკულტურული კოლექტივები ჰყავთ აბაშის, ონტოფოს, სუჯუნისა და სხვათა კოლმეურნეობებს მაღალ დონეზეა სპორტული საქმიანობა სასოფლოსამეურნეო ტექნიკუმში, მაგრამ ასე ვერ ვიტყვით ყველაზე. მელორეობის საბჭოთა მეურნეობაში, მარნის, აბაშის ენგელსის სახელობის, კვათანისა და სხვა კოლმეურნეობებში უმოქმედობენ ძირეული ფიზკულტურული კოლექტივები. არ აქვთ ინვენტარი, ბაზები, რის გამო ახალგაზრდები მოწყვეტილი არიან ფიზკულტურულ საქმიანობას.

კონფერენციამ მკაცრად გააკრიტიკა რაისაბჭო, ფიზკულტურის რაიონული კომიტეტი და „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭო, ძირეულ კოლექტივებისადმი სუსტი დახმარებისათვის.

კონფერენციამ მიიღო სათანადო დადგენილება და აირჩია რაისაბჭოსა და სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობა.

ი. თოფურია

# აჭარის ჩემპიონები

ბათუმის ბავშვთა სპორტსკოლის ღია მოედანზე გაიმართა აჭარის ზამთრის პირველობის გათამაშება კალათბურთში სპორტსაზოგადოებათა გუნდებს შორის. საინტერესო სპორტული ბრძოლების შედეგად ჩემპიონის წოდება მოიპოვეს ბათუმის ბავშვთა სპორტსკოლის წარმომადგენლებმა, მეორე ადგილი წილად ხვდა „განთიადს", ხოლო მესამე — „სპარტაკს".

განსაკუთრებით დაძაბული გამოდგა ქალთა კოლექტივების შეხვედრები. აქაც პირველ ადგილზე ბავშვთა სპორტსკოლის კალათბურთელები გამოვიდნენ.

ი. ბუდნიკი



# ოსტაპ ბენდერი

## წყალტუბოს რაიონში

ი. ილფისა და ე. პეტროვის „თორმეტი სკამის" გმირს — ოსტაპ ბენდერს ერთხელ პაწაწინა ქალაქ ვასიუკში მოუხდა თავისი „მოღვაწეობის" გაშლა. ამჯერად ის ჭადრაკის ხელოვნების ქურუმად მოგვევლინა და ვასიუკის მცხოვრებთ დაახლოებით ასეთი „ზეშთაგონებული" სიტყვებით მიმართა:

— დღეიდან თქვენი ქალაქის ცხოვრებაში ახალი ეტაპი იწყება. მე, თანამედროვე ჭადრაკის ერთ-ერთი უბადლო მაესტრო, კარლსბადის საერთაშორისო ტურნირიდან ახლახანს ძლევამოსილად დაბრუნებული ერთდროულ სეანსს ჩავატარებ ადგილობრივ ჭადრაკის მოყვარულებთან. ხოლო ეს მოვლენა უახლოეს დროში ვასიუკის საჭადრაკო მსოფლიოს ცენტრად გადააქცევს...

ცნობილია ამ აფიორის „კომიკურ-ტრაგიკული" ფინალიც: „საერთაშორისო მაესტრომ" ყველა დაფაზე სამარცხვინოდ წააგო და საქმეც სკანდალით დასრულდა.

ცნობილი იყო ისიც, რომ ასეთი უმსგავსო მოვლენა. წარსულის მანკიერი გადმონაშთი, ჩვენს სინამდვილეში დღითი-დღე სულს ღაფავდა და ოსტაპებსაც სულ უფრო-და-უფრო უჭირდათ ფრთების გაშლა. ის კი არა, ლამის იყო კინაღამ მთლიანად არქივს გადავაბარეთ და მხატვრული ნაწარმოებების ფურცლებიდანღა ვჭვრეტდით მსგავსი ჭადრაკის კორიფეების თუ ავტოგარბენის ორგანიზატორთა თავბრუდამხვევ ფათერაკებს, რომ უკანასკნელმა ფოსტამ საოცარი ცნობა მოგვაწოდა:

— ოსტაპ ბენდერი ცოცხალია!.. ამჯერად ის ბათუმის კულტურის სახლის ძალოსნის, მოჭიდავისა და მოკრივის როლში გამოდის წყალტუბოს რაიონის სხვადასხვა სცენაზე...

მართლაც, ამას წინათ, წყალტუბოს კულტურის სახლთან გამოკრული აფიშა ბათუმის კულტურის სახლთან არსებული თვითმოქმედი ძალოსნური ჯგუფის — ფრანგიშვილისა და კუპატაძის — გამოსვლებს იუწყებოდა. მაგრამ არც აფიშა და არც პირველი დღის ძალოსნური გამოსვლები არ მეტყველებდნენ არაფერ განსაკუთრებულზე: პროგრამა ჩვეულებრივი იყო, მისი წარმოდგენაც ასეთივე, ცოტა არ იყოს, მოსაწყენ და უფერულ ხასიათს ატარებდა: ძალოსნებმა აწიეს სიმძიმეები (მათ შორის ცოცხალი ცხენიც!) გაღუნეს რკინები, გატეხილ შუშებზე შედგნენ და თავიც დაუკრეს მაყურებლებს.

ყველაფერი მომდევნო წარმოდგენიდან დაიწყო. ამ დღეს განსაკუთრებული ენაწყლიანობით წარსდგა კუპატაძე წყალტუბოს საშუალო სკოლის მოსწავლე-მაყურებელთა წინაშე და ისევე, როგორც თავის დროზე ოსტაპ ბენდერმა, თავისი თავიც და თავისი კოლეგაც ერთბაშად სპორტის რამდენიმე სახეობის ფავორიტებად წარმოადგინა:

— თქვენს წინაშე ახლა გამოვა საბჭოთა კავშირისა და ევროპის მრავალგზის ჩემპიონი, ძალოსანი ჟორჟ ფრანგიშვილი!.. — პათეტური ტონით აცხადებდა ის ყოველი ახალი ნომრის წინ, ხოლო, როგორც თავმდაბალი ადამიანი, თვითონ მხოლოდ საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ტიტულით დაკმაყოფილდა ჭიდაობასა და კრივში.

წყალტუბოელებმაც მხოლოდ მხრები აიჩეჩეს ახლადგამომცხვარი და ჯერ გაუგონარი „ჩემპიონების" მოვლინების გამო და საქმეც, ოსტაპ ბენდერისაგან განსხვავებით, ყოველგვარი სკანდალის გარეშე დასრულდა.

მაგრამ თვით „ჩემპიონებს" დასრულებულად როდი მიაჩნდათ იგი. ნათქვამია, მადა ჭამაში მოდისო და ამ კანონზომიერებამ ამჯერადაც გამონაკლისის გარეშე იჩინა თავი. სპორტის რამდენიმე სახეობის ფავორიტებმა წყალტუბოს რაიონის სოფელ ცხუნკურის საშუალო სკოლაც გააბედნიერეს ვიზიტით.

ჩვენთვის უცნობია, წარმოითქვა თუ არა ამ პატარა სოფელში იმის მსგავსი „ზეშთაგონებული" სიტყვა, რომლითაც ოსტაპმა ვასიუკის მცხოვრებთ მიმართა და რომელიც ცხუნკურს ძალოსნობის, ჭიდაობისა და კრივის მსოფლიო ცენტრად გადაქცევას აღუთქვამდა, მაგრამ ერთი ფაქტი მაინც ფაქტად რჩება: სკოლის მესვეურთ კუპატაძემ მოსწავლეთათვის ლექციის წაკითხვაც კი აღუთქვა სპორტის მნიშვნელობის შესახებ.

მაგრამ სანამ საქმე „ლექციამდე" მივიდოდა, გასტროლიორებმა სხვაგვარ „შეჯიბრებაშიც" გამოიჩინეს თავი.

— ბილეთი ხუთი მანეთი ეღირება, — მოწყალე ტონით თქვა კუპატაძემ.

— კარგით, ბატონო, — იყო პასუხი.

ამ დიალოგს წარმოდგენის გამართვის დღეს სხვა, ნაირნაირი დიალოგები და მონოლოგებიც მოჰყვა.

— ბილეთის გაყიდვა არაა საჭირო! — განაცხადეს გასტროლიორებმა, — ზედმეტი ფორმალობაა.

— აბა, როგორ, ბატონო? — იყო შეკითხვა.

— უბრალოდ. კარებში ვინც შემოვა, ხუთ მანეთსაც გადაიხდის — ამ განმარტების შემდეგ კუპატაძემ დაუყოვნებლივ სასოფლო საბჭოს კლუბის კარებთან დაიკავა პოსტი.

აშრიალდა ხუთმანეთიანები.

— სდექ! — იყო მომდევნო დიალოგის დასაწყისი, — თქვენ ორნი ხართ, ხუთი მანეთის მეტი კი არ გადაგიხდიათ.

და როცა ხუთმანეთიანებმა 700 მანეთი შეადგინეს, „წარმოდგენაც" დაიწყო: ფრანგიშვილმა და კუპატაძემ ორ-ორფუთიანი გირები შეათამაშეს რამდენჯერმე, თავი დაუკრეს საზოგადოებას და, სანამ ერთ-ერთი ნორჩი მაყურებელი მეორეს ანუგეშებდა — „ახლა დაიწყება ცხენის და ავტომანქანის აწევაც, ბოთლის ნატეხზებზე სიარულიც და რკინების მოღუნვაცო"—წარმოდგენაც დასრულებულად გამოაცხადეს.

ვფიქრობთ, კომენტარების გარეშეც ყველაფერი გასაგებია.

ეს იყო და ეს. „ჩემპიონები და რეკორდსმენები" გაქრნენ წყალტუბოდან, მაგრამ კვალს მაინც მივაგენით. იგი ბათუმის კულტსახლისაკენ მიემართება. (ამას ღაღადებს „ჩემპიონებისა და რეკორდსმენების" მიერ რაიკომში წარდგენილი მოწმობა). და რადგანაც მიემართება, დე ბათუმის ან აჭარის სათანადო ორგანიზაციებმა დაწვრილებით შეისწავლონ ეს საქმე და ყველას საკადრისი სახელი მიუზღონ.

**შ. ჯულელი**



დახედეთ დიაგრამას, შეძლებს თუ არა სპასკი თავის ხსნას?

ტურნირში დაუმარცხებელია მხოლოდ პეტროსიანი.

ტალი კვლავ მიიწევს წინ.

## სსრკ XXV ჩემპიონატი

XIII ტურში რვა პარტიიდან ექვსი არ დამთავრებულა.

მძიმე დღე დაადგა პეტროსიანს კროგიუსთან. მას მთელი თამაშის მანძილზე უხდებოდა მრავალრიცხოვანი მუქარების მოგერიება. შეხედა რა კროგიუსმა, რომ ველარ იგებდა ყაიმი შესთავაზა პეტროსიანს, გროსმაისტერმა იგი არ მიიღო. მაგრამ ორიოდე სვლის შემდეგ თვითონ მოისურვა დაზავება. არასახარბიელოდ თამაშობს ფურმანი. მან ამჯერადაც ვერ გამოიყენა უპირატესობა ბანიკთან, მოხვდა ცაიტნოტში და 44-ე სვლაზე დანებდა.

სპასკიმ ლამაზი კომბინაცია განახორციელა სუეტინთან პარტიაში. მაგრამ მისი გამარჯვებით დაგვირგვინება ველარ მოაწრო, რადგან ბელორუსიის ჩემპიონმა პარტია გადადო. ყურადღებას იპყრობდა ძველი საჭადრაკო მეგობრების — ბრონშტეინისა და ბოლესლავსკის შეხვედრა. ბრონშტეინმა მხოლოდ დაბოლოებაში გადასვლისას შეძლო რეალური მუქარების შექმნა. იგი მხედარში ეტლის შეწირვით შეიჭრა ბოლესლავსკის ბანაკში. გადადებულ პოზიციაში ინიციატივას ისევ ბრონშტეინი ინარჩუნებს. ტალს ზედმეტი პაიკი აქვს ტაიმანოვთან, მაგრამ გაუძნელდება მისი რეალიზაცია. უპირატესობა აქვს აგრეთვე გელერს კოტოვთან. მაგრამ აქაც დამცველ მხარეს შეუძლია დიდი წინააღმდეგობის გაწევა. ტოლუშს ოდნავ უკეთესად ჰყავს განლაგებული ფიგურები ავერბახთან შეწყვეტილ პოზიციაში.

გურგენიძემ გიპსლისთან გადადებულ პარტიაში უნდა მოიგოს. ამას კი ქართველმა ოსტატმა ასე მიაღწია: სიცილიურ დაცვაში შავებით ძნელი ვარიანტი აირჩია. გიპსლისი უტევდა ცენტრს. მაგრამ საკმარისი იყო მისი ერთი წაბორძიკება, რომ გურგენიძემ გახსნა პოზიცია და შეტევაზე გადავიდა. რიგელებს ცაიტნოტის იმედი ჰქონდათ, როცა დაინახეს, რომ განსაცდელში მოექცა მათი ფალავანი. მაგრამ გურგენიძე ცაიტნოტშიც ბეჯითად იბრძოდა და გამარჯვებისათვის საკმაო უპირატესობაც მოიპოვა.

XIV ტურში დიდი ინტერესი გამოიწვია ტალ-გელერისა და გურგენიძე-სპასკის პარტიებმა. დარბაზი მთელი თამაშის მანძილზე ყრუდ ხმაურობდა. მსაჯთა კოლეგიამ რამდენიმეჯერ მოუწოდა მაყურებლებს სიწყნარისაკენ. მაგრამ უშედეგოდ. ან რა დააწყნარებდათ რიგელებს, როდესაც მათ ფავორიტ ტალს და მის მეგობარს გურგენიძეს ბრწყინვალედ მიჰყავდათ პარტიები.

ესპანურ პარტიაში გელერმა ნაკლებად შესწავლილი ვარიანტი გაითამაშა, მაგრამ ტალი არ დაიბნა. მან ლაზიერის ფრთაზე პაიკის გაწევით ძალზე გაართულა თამაში. მე-18 სვლაზე ტალმა იერიშის უფრო გამწვავების მიზნით, ხარისხი შეწირა. გელერი აქტიურად თამაშობდა და უვნებელყოფდა მუქარებს. მაგრამ შემდგომ ჯეროვნად ვერ შეაფასა ტალის გამსვლელი პაიკის ძალა და თვითონ მოინდომა მოგებაზე თამაში. აქ კი უხეშად შეცდა. ტაქტიკური დარტყმით ტალმა მოიგო ფიგურა და 33-ე სვლაზე პარტია.

აწასობაში გურგენიძე-სპასკის პარტიაში ბევრი რამ მოხდა. ქართველი ოსტატი ჩვეულებრივ დებიუტს უპრეტენზიოდ თამაშობს: იგი თეთრებით და შავებით ფიგურებს ანვითარებს მხოლოდ ძველინდური დაცვის სქემის მიხედვით. დებიუტის ასეთ გათამაშებას აქვს ის უპირატესობა, რომ მისგან გამომდინარე პოზიციები თითქმის შეუსწავლელია, რაც შემოქმედების გამოვლინების მეტ საშუალებას იძლევა. ამიტომ, როდესაც სადებიუტო ნაწილი დამთავრდა, სპასკიმ ხიფათის თავიდან ასარიდებლად (ის ხომ ლიდერია), გურგენიძეს ყაიმი შესთავაზა. თბილისელმა მაცდური წინადადება არ მიიღო.

ამ დროისათვის დაზავდნენ ბანიკ-კროგიუსი, კორჩნოი-ფურმანი და ტაიმანოვ-პოლუგაევსკი, რომლებიც უმალვე შეუერთდნენ მაყურებლებს.

ყოველი სვლით გურგენიძეს უძნელდებოდა სპასკის ფიგურების შემოსევის უკუგდება. სპასკი პაიკის შეწირვით თითქოს მთლიანად დაეუფლა დაფას, მოახლოვდა ცაიტნოტი, სპასკი ნერვიულობს, გურგენიძის სახეს კი სიმშვიდე ეტყობა, თუმცა იგი უკიდურესობამდეა დაძაბული. აი, სპასკიმ კიდევ ერთ უჯრაზე გასწია გამსვლელი პაიკი. გურგენიძე უმალ სარგებლობს არასწორი სვლით იგი სწრაფად და მტკიცედ თამაშობს. აი, მან გააკეთა საკონტროლო სვლა და წამოდგა აღელვებული. შემდეგ ამ პოზიციას კიდევ დახედა.



დარბაზს სტოვებენ მაყურებლები და მოთამაშეები. გიპსლისი ვერაა გუნებაზე. მას დღეს პეტროსიანმა ნამდვილი გროსმაისტერული ტექნიკით მოუგო თანაბარი პარტია. სუეტინს სახეზე ღიმილი უკრთება. იგი კმაყოფილია ტოლუშთან გადადებული პოზიციით.

სპასკი კიდევ ფიქრობს. ჩანს გროსმაისტერს ვერ მოუხახავს რაიმე სახარბიელო. ბოლოს მან რაღაცა სვლა ჩაიწერა, რომლის საიდუმლოება გამომჟღავნდება მხოლოდ პარტიის განახლებისას.

გუშინ ჩატარდა გადადებული პარტიების გათამაშება. გურგენიძე პირველად შეხვდა გიპსლისს. როგორც წინ ვიუწყებოდით, ეს პარტია გურგენიძის უპირატესობით იყო გადადებული. მან უპირატესობა კარგად გამოიყენა და მოიგო კიდეც. შემდეგ გურგენიძემ სპასკისთან გაითამაშა მეორე გადადებული პარტია, რომელიც ამჯერადაც არ დამთავრებულა. გურგენიძე კვლავ ინარჩუნებს გამარჯვების კარგ შესაძლებლობას.

ტალმა დაამარცხა კოტოვი და ტაიმანოვი, ხოლო ბანიკს დანებდა. ყაიმით დამთავრდა ავერბახის პარტიები ბრონშტეინთან და ტოლუშთან.



სურათზე: თბილისის № 1 სამკერვალო ფაბრიკის ერთ-ერთი საამქროს მუშები ატარებენ საწარმოო ტანვარჯიშს.

## მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენები

# „შავი ჯიქი“



პოლონური ჟურნალი „სპორტოვეცი“, ლაპარაკობს რა სპორტში უმაღლეს მიღწევებზე, ახსენებს რა რეკორდსმენთა შორის რეკორდსმენების გვარებს, პირველ ადგილზე აყენებს გროფერ კლეველანდელს (ჯესი) ოუენსს, რომელიც მართლაც იშვიათი მოვლენაა სპორტში.

ოუენსის მიერ 22 წლის წინათ დამყარებული რეკორდები დღესაც არ კარგავს ძალას და ბევრ უსიამოვნებას აყენებს ახალ რეკორდსმენებს. ოუენსმა ორჯერ განაცვიფრა სამყარო თავისი რეკორდებით. ჯერ ერთი, როდესაც 3 საათის განმავლობაში 5 მსოფლიო რეკორდი დაამყარა და შემდეგ ბერლინში, 1936 წელს, როდესაც ოთხი ოლიმპიური ოქროს მედალი მოიპოვა.

მძლეოსნობის ისტორიისათვის დაუვიწყარია 1935 წლის 25 მაისი. მიჩიგანის შტატი. ან-არბორის სტადიონი...

სტარტი აიღო ყველასათვის უცნობმა 21 წლის ჯესი ოუენსმა. პირველსავე გარბენმა 100 იარდზე სახელი და დიდება მოუტანა მას. ჯესიმ გაიმეორა ფრანგ ვიკოფის მსოფლიო რეკორდი. გარბენის დამთავრების შემდეგ ოუენსმა მიაშურა სახტომ სექტორს და პირველსავე ცდაში აჩვენა ფენომენალური შედეგი — 8.13. ეს რეკორდი, რომელიც დღესაც ძალაშია, 15 სანტიმეტრით აღემატება იაპონელ ხუხაი ნამბუს ძველ რეკორდს. რამდენიმე წუთის შემდეგ ოუენსი კვლავ დაუბრუნდა სარბენ ბილიკს და კვლავ ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 20,3 წამი 220 იარდზე რბენაში.

მხოლოდ ნახევარი საათი დაისვენა ოუენსმა და შემდეგ ისევ სტარტზე გამოვიდა. 220 იარდზე თარჯრბენში 22,6 წამი აჩვენა და მსოფლიო მიღწევათა ამ „ოქროს სერიაში“ ახალი შესანიშნავი შედეგი ჩაწერა ამ შეჯიბრებაზე ოუენსს ჩაეთვალა კიდევ ორი მსოფლიო რეკორდი (200 მეტრზე რბენასა და თარჯრბენში).

ან-არბორის შემდეგ ოუენსმა მოიპოვა მსოფლიოში არნახული პოპულარობა.

ოთხი ოქროს მედლით აღინიშნა ოუენსის გამოსვლა ბერლინის ოლიმპიადაზე. სამი მათგანი მან მიიღო ინდივიდუალურ გამოსვლებში და მეოთხე ამანათრბენში მონაწილეობისათვის.

ოუენსს შეარქვეს „შავი ჯიქი“, ეს სახელი არაჩვეულებრივად ზუსტად გამოხატავდა სპრინტერის შესანიშნავ თვისებებს. ოუენსი შესანიშნავი ადამიანიც იყო. როდესაც ბერლინის ოლიმპიურ თამაშებზე ვერცხლის მედლის მფლობელს გერმანელ ლუც ლონგს წამით ფეხი გაუშეშდა, ოუენსმა მისცა რაღაც მალამო, რომლის გამოყენების შემდეგ გერმანელმა შეჯიბრების გაგრძელება შეძლო.

ასეთი იყო ჯესი ოუენსი — თანამედროვეობის უდიდესი მძლეოსანი, ყველასათვის საყვარელი — „შავი ჯიქი“.

სურათზე: ჯესი ოუენსი სტარტზე.

## აფრიკული რეზერვები

საფრანგეთის ... კომიტეტი დიდ მუშაობას აწარმოებს, რათა თავისი ოლიმპიური გუნდი მოამარაგოს მძლეოსნების და მოკრივეების ახალი ტალანტებით. საძიებელი სამუშაოები ძირითადად ტარდება აფრიკაში. არც თუ ისე დიდი ხნის წინ ჩრდილოეთ აფრიკამ ფრანგებს საკმაოდ ძლიერი სპორტსმენები მისცა, ისეთები, როგორებიც არიან: მიმუნი, ელ მაბრუკი, გერდანი, ხალიმი, ვენტალი და სხვები. ამჟამად ფრანგებს აფრიკაში სათარეშოდ შერჩათ მხოლოდ ალჟირი, მაგრამ მათ მაინც შეძლეს თავიანთი აგენტების დაგზავნა სენეგალში, გვინეაში, კამერუნში.

როგორც კორესპონდენტები იუწყებიან, მძლეოსანთა ძებნამ ჯერ ვერ გამოიღო დადებითი შედეგები. რაც შეეხება მოკრივეებს, აქ გადადგმულია გარკვეული პრაქტიკული ნაბიჯები. უკვე შერჩეულია 6 ზანგი, რომლებიც სათახადო მომზადების შემდეგ დაიწყებენ საპასუხისმგებლო შეჯიბრებებზე გამოსვლას. სპორტულმა პრესამ აღნიშნა, რომ ამ კანდიდატების პირველმა გამოსვლამ საფრანგეთის ჩემპიონატზე დასტოვა მეტად კარგი შთაბეჭდილება და რომ ისინი აუცილებლად გაამართლებენ ნდობას.

რამდენად მართალია ეს სიტყვები, ამას გვიჩვენებს 1960 წლის ოლიმპიური თამაშები.

## ტურნირი დაძაბულად მიმდინარეობდა

**თბილისი. ლენინის სახ. დარბაზი. საკავშირო პირველობა ფრენბურთში**

ფრენბურთში მოთამაშის შეცვლა რამდენიმე მიზეზით შეიძლება: როდესაც სპორტსმენი იღლება. ასეთ დროს შეცვლა თავდამსხმელის უკანა ხაზზე გადასვლის დროს ხდება. მოთამაშეს სცვლიან მაშინაც, როდესაც მას არ გამოსდის თამაში, უშვებს შეცდომებს და მწვრთნელი მას რჩევა-დარიგების მისაცემად გაიყვანს.

როდესაც მწვრთნელი ახდენს შეცვლას, იგი ერთ-ერთი რომელიმე მიზეზით უნდა ხელმძღვანელობდეს, მაგრამ არის შემთხვევა, როდესაც შეცვლას არა აქვს არავითარი გამართლება. მაგალითისათვის ავიღოთ თბილისისა და მოსკოვის „ბურევესტნიკის“ მატჩი. პირველ პარტიაში, როდესაც თბილისის გუნდი აგებდა თამაშს — 7:13, დობორჯგინიძემ შეცვალა გავრილენკო გასაკვირი აქ თითქოს არაფერია — გუნდი აგებს პარტიას და მწვრთნელს შემოყავს ახალი ძალა, მაგრამ საქმე იმაშია, რამდენად გამართლებული იყო ეს შეცვლა? დობორჯგინიძემ შეცვალა გავრილენკო უკანა ხაზზე დაცვაში, სადაც იგი საკმაოდ სუსტია. თუ გავრილენკო აუცილებლად შესაცვლელი იყო, შეიძლებოდა მის ნაცვლად მოედანზე კუჭავას ან ჟიგულინის გამოყვანა, რადგან ისინი უფრო მეტად მოქნილნი და დაცვაში ძლიერები არიან. თუ გუნდს აუცილებლად ესაჭიროებოდა დობორჯგინიძე, იგი წინა ხაზზე გასვლის დროს უნდა გამოეყვანათ.

უნდა ითქვას, რომ ამ ტაქტიკურ ხერხს (ლაპარაკია შეცვლაზე) ხშირად სხვა წამყვან გუნდებშიც არასწორად იყენებენ. მოსკოვის „ბურევესტნიკთან“ თამაშის დროს თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სპორტული კლუბის გუნდში (პირველ პარტიაში) რევამ ანგარიშზე 12:2 შეცვალა გერასიმოვი. მწვრთნელის ამოცანა ნათელი იყო: გამოცდილი ოსტატის შემოყვანა გარდატეხისათვის მაშინ, როდესაც ინიციატივა მოწინააღმდეგის მხარეს გადავიდა, მაგრამ ეს გარდატეხა არ მოხდა. არმიელებმა წააგეს პარტია და, როგორც ამ დამარცხების მთავარი „მიზეზი“, რევა მეორე პარტიაში უკვე აღარ თამაშობდა. ჩვენის აზრით ეს არ არის სწორი გადაწყვეტილება. სპორტსმენმა ჯერ ვერც კი მოასწრო ხეირიანად „გახურება“, თამაშის ტემპში ჩართვა, მას კი უკვე სცვლიან. რა თქმა უნდა, ასეთი გადაწყვეტილება მხოლოდ მორალურ ტრავმას აყენებს სპორტსმენს და გუნდისათვის მას არავითარი სარგებლობა არ მოაქვს.

თანამედროვე ფრენბურთში დიდი მნიშვნელობა აქვს დაცვას წინა ხაზზე, ანუ ბლოკს. ეს რომ არ იყოს, თავდამსხმელთა ყუმბარისებური დარტყმების წინაშე უკანა ხაზის დამცველები უძლურები აღმოჩნდებოდნენ. მართლაც, რა უნდა დაუპირისპირდეს თუ არა ბლოკი, ვთქვათ კოშელევის, ჩესნოკოვის ან ფასახოვის დარტყმებს? გუნდში ყველა შჩერბაკოვი ხომ არ იქნება? ბლოკი, მხოლოდმხოლოდ ბლოკი! ეს ანბანური ჭეშმარიტებაა ყველასათვის, თბილისის „ბურევესტნიკის“ გარდა. ჩვენს გუნდს კი არაფრად არ უვარგა ბლოკი. შეიძლებოდა ფრჩხილები გაგვეხსნა და გვეთქვა, რომ თბილისის ფრენბურთელები ბლოკს აყენებენ მოგვიანებით და შეუთანხმებლად. იმ ცალკეულ შემთხვევებში კი, როდესაც ბლოკი ზუსტად და დროულად უპირისპირდებოდა მოწინააღმდეგის თავდასხმას — წარმატება ყოველთვის ჩვენს მხარეს იყო. ეს ნათლად ვნახეთ სვერდლოვსკის „ბურევესტნიკთან“ მეორე და მეოთხე პარტიაში, როდესაც თბილისელებმა მოიპოვეს გამარჯვება 15:5 და 15:11.

თბილისის „ბურევესტნიკის“ თამაშს აქვს კიდევ ერთი ნაკლი — მას არა აქვს მოქნილი, მრავალფეროვანი ტაქტიკა. ტემპი — მხოლოდ ტემპი — ეს არის და ეს. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს რომ ტემპი ხშირად სხვა გუნდებსაც აწყობს, განსაკუთრებით მაღალტექნიკურ კოლექტივებს. სწორედ ამიტომ, ხშირად დიდი მნიშვნელობა აქვს სწორედ ტემპის დაგდებას — დიახ, მოწინააღმდეგის ტემპის დაგდებას.

თბილისის „ბურევესტნიკმა“ უკვე ოთხი კალენდარული შეხვედრა ჩაატარა და ოთხივე შეხვედრის დასაწყისი კარგს არაფერს უქადდა მას. კიდევ მეტი, ყოველი შეხვედრის პირველი პარტიის შემდეგ, ისინი წაგებულები იყვნენ და მხოლოდ მეორე პარტიაში იწყებდნენ ნამდვილ თამაშს. პირველ პარტიას ჩვენი გუნდი თითქმის უბრძოლველად თმობს. მოწინააღმდეგეები ძირითადად თბილისელთა შეცდომებისა და ძლიერი პირველი მოწოდების წყალობით იღებენ ქულებს. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ჩვენს ფრენბურთელებს უჭირთ ძლიერი პირველი მოწოდების მიღება. ეს ალბათ მოთამაშეთა არასწორი განლაგების შედეგია, რადგან ბურთის მიღების დროს ისინი ან ერთმანეთს ფარავენ, ან უბრალოდ ხელს უშლიან. ისიც უნდა ითქვას, რომ თბილისელები რატომღაც გაურბიან თამაშის დაწყებას ძლიერი მოწოდებიდან. ამ ტექნიკური ილეთის უშეცდომოდ შესრულება კი თამამად შეუძლიათ კაჭარავასაც, ბუინოვსაც და ვრანიაკსაც.

ჩვენ მკითხველის ყურადღება იმიტომ შევაჩერეთ თბილისელთა თამაშის ნაკლოვან მხარეებზე. რომ გვწამს — ეს ნიჭიერი ახალგაზრდული კოლექტივი შეძლებს ზემოაღნიშნული ხარვეზების გამოსწორებას და უძლიერესთა რიგებში ჩადგომას. სწორედ ასეთი აზრი გამოთქვა თბილისის „ბურევესტნიკზე“ საბჭოთა ფრენბურთის სახელმოხვეჭილმა ვეტერანმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ა. იაკუშევმა.

ახლა თვითონ შეხვედრის მსვლელობაზე. როგორ წარიმართა მესამე და მეოთხე კალენდარული დღე თბილისის ქვეჯგუფში.

გათამაშების ლიდერმა ქალთა შორის ლენინგრადის „ბურევესტნიკმა“ ორი გამარჯვება მოიპოვა ზედიზედ. მან დაამარცხა მოსკოვის „სპარტაკი“ — 3:0 და ბაქოს „ნეფტიანიკი“ — 3:1. მოსკოვის არმიელებმაც ორი ქულა ჩაიწერეს აქტივში. ამჯერად მათ მოუგეს შეხვედრები მოსკოვის „ბურევესტნიკს“ (3:2) და კრასნოდარის „დინამოს“ (3:0); ბაქოს „ნეფტიანიკმა“ დაამარცხა კრასნოდარის „დინამო“ — 3:1, ხოლო მოსკოვის „ბურევესტნიკმა“ — მოსკოვის „სპარტაკი“ — 3:0.

ვაჟთა გუნდების ტურნირის მესამე დღეს ცსკმო-მ ოთხ პარტიაში დაამარცხა მოსკოვის „სპარტაკი“. ლენინგრადის არმიელებმა დაყარეს ფარხმალი სვერდლოვსკის „ბურევესტნიკის“ წინაშე (1:3). თბილისის „ბურევესტნიკმა“ მოსკოველ თანაგუნდელებს მოუგეს მხოლოდ მეორე პარტია (15:13). დანარჩენ სამ პარტიაში მათ ვერაფერი მოუხერხეს კოშელევის, ლეტიაგინისა და პოლიკარპოვის გამუდმებულ იერიშებს და დამარცხდნენ.

საყოველთაო ყურადღების ცენტ-რში იყო ტურნირის ორი ლიდერი — მოსკოვის არმიელებისა და „ბუ-რევესტნიკის“ ფრენბურთელები ორთაბრძოლა. პირველ პარტია- უპირატესობა „ბურევესტნიკის“ გუნდის მხარეს იყო, მაგრამ არმი-ლებმა შემდგომში შესძლეს თამა-შის გარდატეხა და მოიპოვეს და-სახურებული გამარჯვება.

მეტად დაძაბული ბრძოლით აღ-ნიშნა თბილისისა და სვერდლოვსკ-„ბურევესტნიკის“ შეხვედრა. თბი-ლისელებმა, როგორც წესი, წააგ-პირველი პარტია — 11:15, მაგრ-შემდგომში გათამაშდნენ და იო-გამარჯვებას მიაღწიეს — 15:- მესამე პარტიაში უპირატესო-სვერდლოვსკელთა მხარეს ი-(15:12), მაგრამ დარჩენილი ო-პარტიის მოგებით (15:11 და 15:1- თბილისელებმა მეტად საჭირო ქ-ლა ჩაიწერეს სატურნირო ცხრილ- ამ მატჩში განსაკუთრებით თავი - მოიჩინა თბილისელმა ი. ბოი-ძლიერად ჩაატარეს ცალკე-პარტიები კაჭარავამ, ბუინოვმა - ჟიგულინმა. ლენინგრადის არმი-ლებმა დაამარცხეს მოსკოვის სპ-ტაკელები“ — 3:0.

**ლ. ფალავანდიშვილი,**
**სპორტის დამსახურებული ოსტა-**
**ნ. გუგუშვილი.**

* * *



**სურათზე:** ცსკმოს ქალთა გ-დის წევრები იბრძვიან დაბ- ბურთის ასაღებად.

ფოტო მ. ზარგარიანის-

## კვლავ ატლანტიკის ოკეანეში

ორმა იტალიელმა სპორტსმენმ- იაკოპუჩიმ და როკიმ სცადეს ატ-ლანტიკის ოკეანის გადაკვეთა თვ-თნაკეთი ტივით, რომლის სიგრძ- არ აღემატებოდა 9 მეტრს, ხოლ- სიგანე 2.60 მეტრს.

სპორტსმენებმა სტარტი აიღ- გიბრალტარში და 17 დღის შე-დეგ მიაღწიეს ბრაზილიის ნაპი-რებს. ჰამაც სპორტსმენებს ბრაზ-ლიელებმა გულთბილი შეხვედ- მოუწყვეს.

**რედაქტორი ი. უზულავა**

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო“, ტელეფონები: რედაქტორის — 3-89-62, პ.მგ. მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, მორიგისა და გამომშვების — 3-38-25.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.

უე 00243